შპს ბილჯ ვოტერ

საქართველო, 0162 თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. № 70
ბინა № 86, ტელ.: 995 599381000

ელ. ფოსტა: bilgewater.ge@yahoo.com

BILGE WATER
Keeping the waters blue

LLC BILGE WATER

86 App. 70 Irakli Abashidze St. Tbilisi 0162, Georgia 2
mob.: 995 599381000

e-mail: bilgewater.ge@yahoo.com

№ 174

27 ოქტომბერი 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 16850
27 10 2020
2/ch
+ 02 +

ქალბატონო/ბატონო,

გაცნობებთ, რომ შპს „ბილჯ ვოტერ"-ს დაგეგმილი აქვს ჭაბურღილში ღრმა ჩაშვების (ჩაჭირხვნის) მეთოდით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ" განსაზღვრული სახიფათო თხევადი ნარჩენების, მათ შორის ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების პირდაპირი განთავსება, ან საჭიროების შემთხვევაში, ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების სეპარაციის შედეგად გამოცალკევებული ტექნიკური წყლის ჭაბურღილში განთავსება (ჩაჭირხვნა).

ამ ეტაპზე, კომპანია საქმიანობას ანხორციელებს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 ოქტომბრის N2-923 ბრძანებით კომპანიაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ხობის მუნიციპალიტეტში, შპს „ბილჯ ვოტერის" სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) განთავსებაზე შესაბამისად.

დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება გამოიწვევს შპს „ბილჯ ვოტერ"-ის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ამავე კოდექსის, მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ შპს „ბილჯ ვოტერ“-ის სახიფათო თხევადი ნარჩენების განთავსების პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

1. შპს „ბილჯ ვოტერ“-ის სახიფათო თხევადი ნარჩენების პირდაპირი ან/და წინასწარი დამუშავების შემდეგ განთავსების პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია;

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

დავით ჩიქოვანი

დირექტორი